# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
## მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის
## ბრძანება
## ქ. მარტვილი

ბრძანება:**№58. 5824054001**

თარიღი:**23/02/2024**

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს.კ: 41.13.32.257 არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 1328 კვ.მ და 452 კვ.მ ნაკვეთების ერთ ლოტად, სარგებლობის წესით ( იჯარა) ხუთი წლის ვადით გაცემის თაობაზე უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ პუნქტის ,,ე.ე“ პუნქტის, 119-ე და 122 -ე მუხლების, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 12 ივლისის N 30 განკარგულების შესაბამისად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1**.გამოცხადებული იქნას უპირობო ელექტრონული აუქციონი მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს.კ: 41.13.32.257 არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 1328 კვ.მ და 452 კვ.მ ნაკვეთების იჯარის წესით, ერთ ლოტად, ხუთი წლის ვადით გაცემასთან დაკავშირებით

2. ს.კ: 41.13.32.257 ნაკვეთზე გადადის 500 კვ ძაბვის საჰაერო ელექტრო გადამცემი ხაზი, რომელზეც ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 366 დადგენილებით ვრცელდება ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის ზონები, კერძოდ ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის პირველი ნაწილის ა.ა პუნქტის შესაბამისად საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი და საჰაერო სივრცე, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს გადაუხრელ მდგომარეობაში მყოფი განაპირა სადენებიდან დაშორებულია შემდეგი მანძილით: 330; 400; 500 კვ ელექტრო გადამცემი ხაზებისთვის - 30 მეტრი.

ამავე დადგენილების მე-4 მუხლით განსაზღვრულია ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების (საჰაერო და საკაბელო ელექტროგადაცემის ხაზები) დაცვის ზონებში სამუშაოთა წარმოების პირობები. შესაბამისად, იჯარის წესით გასაცემი 1328 კვ.მ და 452 კვ.მ ნაკვეთები არ ექცევა ზემოთხსენებული დადგენილებით განსაზღვრულ შეზღუდვაში

3. იჯარით გასაცემ მიწის ნაკვეთზე მომავალ მოიჯარეს ეძლევა შესაძლებლობა განათავსოს მსუბუქი ( გადასატანი) კონსტრუქცია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით

4..იჯარის ქირის წლიური საწყისი თანხის ოდენობად განისაზღვროს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ წარმოდგენილი ( 9600 ლარი ) ცხრაათას ექვსასი ლარის ოდენობით. შესაბამისად ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად განისაზღვროს 9600 ლარი. „ბე“ განისაზღვროს 6720 ლარით; „ბიჯი“ განისაზღვროს 1000 ლარით

**5.** განისაზღვროს ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი, კერძოდ: 2024 წლის 26 თებერვლი 15.00 საათიდან 2024 წლის 4 მარტი 16.00 საათამდე.

6. ბრძანების შესრულება დაევალოს მარტვილის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვასთან დაკავშირებით შექმნილ კომისიას და მანვე უზრუნველყოს სააუქციონო განცხადების გამოქვეყნება ვებ.გვერდზე www.eauction.ge-ზე

**7**. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**8.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ N 247 ) მისი www.eauction.ge-ზე, გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

თორნიკე ჯანაშია

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი